31/03/2021

ელისო ბოლქვაძე პატრიარქის ტახტის მოსაყდრეს, მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) შეხვდა

პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრეს, სენაკისა და ჩხოროწყუს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) შეხვდა.

პარლამენტის პრესსამსახურის ცნობით, ელისო ბოლქვაძემ მიტროპოლიტ შიოს პარლამენტში ახლადშექმნილი კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნო. მხარეებმა განიხილეს პარლამენტსა და ეკლესიას შორის კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით მჭიდრო კოორდინაციის საკითხები.

შეხვედრას დაესწრო საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე.

1tv.ge